საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№38 (6264) ხუთშაბათი 1990 წელი 29 მარტი. ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის ბრძანებით სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრებად დანიშნული არიან: ედუარდ ამბროსის ძე **შევარდნაძე**, იური დიმიტრის ძე **მასლიუკოვი**, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **კრიუჩკოვი**, დიმიტრი ტიმოთეს ძე **იაზოვი**, ჩინგიზ **აითმათოვი**, სტანისლავ სერგის ძე **შატალინი**, ვალენტინ გრიგოლის ძე **რასპუტინი**, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **იაკოვლევი**, ბენიამინ ალექსანდრეს ძე **იარინი**, ალბერტ ერნსტის ძე **კაულსი**, იური ანდრიას ძე **ოსიპიანი**, ევგენი მაქსიმეს ძე **პრიმაკოვი**, ვალერი ივანეს ძე **ბოლდინი**, ვადიმ ვიქტორის ძე **ბაკატინი**, გრიგოლ ივანეს ძე **რევენკო**.

წლის მოსავალს — მყარი საფუძველი

თითოეული დღე — ნაყოფიერი

ძალას იკრებს მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გაზაფხული. ახლა წყდება მოსავლის ბედი, მიწას გამრჯე მარჯვენის მადლი სწყურია. ყველა დარიანი დღე საშურია, ვისაც მუხლი და გული ერჩის საქმის კეთებისათვის, ახლა უნდა გაისარჯოს, სამეურნეო წლის მოსავალს რომ საფუძველი შეექმნას.

საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში დაწინაურდა ლასურიაშის კოლმეურნეობის №2 ბრიგადა, რომელსაც ანზორ მუშკუდიანი ხელმძღვანელობს.

ბრიგადას უკვე დამზადებული აქვს ვაზისათვის საჭირო რაოდენობის ჭიგო და შპალერის ბოძი, სულ სამი ათასი ცალი. შემოკავდა ბაღ-ვენახები. ახლა მასიურად მიმდინარეობს ვაზის სხვლა. გასხლულია 10 ჰექტარი ზვარი, ამ საქმეს ბრიგადის წევრები ორ დღეში მორჩებიან.

ბრიგადაში ორგანიზებულად მიმდინარეობს აგრეთვე ხეხილის ბაღების სხვლა-ფორმირება. გასხლულია 15 ჰექტარი, გატანილია მინერალური სასუქი, მიმდინარეობს შეთეთრება. ჯერჯერობით შეთეთრებულია 5 ჰექტარი ბაღი.

სამუშაოების მიმდინარეობაში აქტიურობენ და ტრადიციას არც წელს ღალატობენ კოლმეურნეები— დავით ნემსწვერიძე, გია სვანიძე, მიშა ბურჯალიანი, თვით ბრიგადირი ანზორ მუშკუდიანი და სხვები.

საქმე მოზღვავებულია. ლასურიაშის კოლმეურნეობის №2 ბრიგადის წევრთა მონდომებული შრომა გვაფიქრებინებს, რომ ისინი შრომაში გამარჯვებულები მივლენ წლის ფინიშთან.

ბ. ბაქრაძე.

დაიწყეს ხვნა

უკვე მეორე დღეა, რაც სოფელ ტვიშში, ჭალის ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 10 ჰექტარია, ხვნას შეუდგნენ მექანიზატორები — გებენ ჩაკვეტაძე და ჯემალ გაბიძაშვილი.

მექანიზატორთა მიზანია მონდომებით მოეკიდონ საქმეს, მაქსიმალურად გამოიყენონ ყოველი დარიანი დღე და ამ მნიშვნელოვან კამპანიას უმოკლეს დროში, აგროვადების ზუსტი დაცვით მორჩნენ.

ჩვენი სოფლის ადამიანები

მიწის ერთგული იყო და დარჩა

მუყაითი და გამრჯე შრომას, მიწის ერთგულებას ვერავინ ასწავლის ჩქუმელ გრიშა ახვლედიანს. პატიოსნება, კაცურკაცობა, სახელითა და ავტორიტეტით ყოფა და ცხოვრება ოდითგან, წინაპართაგან მოსდგამს მის სისხლსა და გენს და თავისთავად გრძელდება მის შთამომავლობაში.

უშრომლად არასდროს უცხოვრია. ახლა ბევრს ვლაპარაკობთ—მიწას პატრონი გაუჩნდა, თავი მიწის პატრონად იგრძნოო და ა. შ. ეს ყველაფერი მისთვის ახალი არაა, იგი აქამდეც ერთგულებდა მიწას და აწი კი, მით უფრო რაღა შეუცვლის გუნებას. სამი შვილი აღზარდეს გრიშამ და ქალბატონმა ლიანამ, სულით მდიდარ ოჯახში შვილებიც ჯანსაღი სულისკვეთებით აღიზარდნენ—უფროსი ვაჟი ინჟინერია და წიფერჩში პოლიგონზე მუშაობს, ქალიშვილი პედაგოგი გახდა და დაოჯახებულია, სულ უმცროსი კი სამხედრო სამსახურს იხდის.

სასურსათო პროგრამის განხორციელებაში ახვლედიანების ოჯახის წვლილიცაა. გასულ წელს იჯარით აღებულ —0,5 ჰექტარ სიმინდისა და 0,1 ჰექტარ ვენახის ნაკვეთებს უვლიდნენ, გაცემულ სიტყვას არ უღალატეს და სიმინდიც, ყურძენიც და ლობიოც გეგმაზე მეტი მოიწიეს. გარდა ამისა იჯარით აღებული ხეხილის ბაღიდან 2 ტონა ვაშლი დაკრიფეს და ჩაბარეს დამამზადებელ პუნქტს. შარშან საკარმიდამო მეურნეობიდან 500 კილოგრამი ხორცი ჩააბარეს სამშობლოს. ოჯახის დედას, ქალბატონ ლიანას ყოველწლიურად გაჰყავს აბრეშუმის მური მოსავლელად და ამ საქმეშიც შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს ქმარ-შვილთან ერთად. ახლა გაზაფხულია, მუშაკაცის გარჯის დრო. გრიშა ახვლედიანს და მისნაირ მშრომელებს შეხსენებაც კი არ სჭირდებათ. თავისი საქმე თვითონვე იციან. ვიდრე გლეხურ მეურნეობაზე გადავიდოდეთ ბევრი ლოდინს ამჯობინებს. როცა მიწას მისად დაიგულვებს მაშინ მოუვლის. გრიშას კი ასეთი გულშიც არ გაუვლია. როგორც კი ამინდი დაიხელთა, არ დაუყოვნებია. ჭიგო დროულად მოიმარაგა, გასასხლავი გასხლა და დასახნავსაც მალე მორჩება.

გვიმრავლოს ასეთი ოჯახები.

ეს დაუსრულებელი ექსპერიმენტები...

რამდენიმე ათწლეულია, რაც დაუსრულებელმა ექსპერიმენტებმა მშრომელ ადამიანს თავზე გადაუარა, უიმედობის ტკივილმა იმატა, მიწის სიყვარული დაეკარგა, საკუთარი ძალის რწმენაც კი გაუქრა და უკუღმართად წასული ქვეყნის შემობრუნებაზე პესიმისტი გახდა.

მიწის სიყვარული ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, რომლის გარეშე მას სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. გავიხსენოთ თუნდაც კოლექტივიზაციის პერიოდი, რამდენი ადამიანი შეეწირა მიწის სიყვარულს.

რა მწვავედ ყღერს—„მიწა გლეხს შეძულდა", „გლეხი უიმედოდ დარჩა". მიწის მუშამ ველარ აიტანა თოხის ტარზე დამსხდარი უშრომელ შემოსავალზე გამოდევნებული საოცრად გაბერილ აპარატთა სიმძიმე და გაღატაკებულმა მიწას ზურგი შეაქცია. საშველებლად ქალაქს მიაშურა, მიწა ავად მოსაგონარი გახდა, სოფელი დაცარიელდა.

ბოლო დროს იჯარამ რამდენიმე სასიკეთო შედეგი გვაგრძნობინა, მაგრამ ჩემის აზრით, მიწას საკუთარი პატრონი მაინც არა ჰყავს. მშრომელი ისევ ეჭვის თვალით უყურებს მას და საშინელი გამოძალვით ეპყრობა. მიწას მოვლა უნდა. ამჟამად ძნელად გასარკვევია: ყანა, ტყე, სათიბი და საძოვარი სად იწყება და სად მთავრდება.

მოუვლელმა — ეროზირებულმა სავარგულებმა ნაყოფიერება დაკარგეს. აკრძალული ცხოველების მომრავლებამ, ბაღ-ვენახების და ტყეების უმოწყალოდ ჩეხვამ ლამისაა და სოფლები უდაბნოებად აქცია. ამით ჩვენ ხის იმ ტოტს ვჭრით, რომელზედაც თვითონ ვზივართ. დაფიქრება გვმართებს ხალხნო. ბუნების მიერ მკაცრი განაჩენის გამოტანა უკვე დაწყებულია და ის ჩვენ არ უნდა დავაჩქაროთ. დროა ჩაკეტილი რკინის ჭიშკრები გავაღოთ და საღი გონებით ბუნების გადარჩენისათვის ვიზრუნოთ. ძველის მოჭრამდე ახალი დავრგოთ, ძველის დანგრევამდე ახალი ავაშენოთ.

მიუხედავად მრავალი ექსპერიმენტისა, რომლის შედეგად სოფლის მეურნეობაში დიდი ცვლილებები განიცადა შრომის ანაზღაურების სისტემამ და ფორმებმა, მაინც ვერ მოინახა ისეთი ვარიანტი, რომელიც სრულყოფილად უპასუხებდა მშრომელთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნებს.

პრესაში ხშირად იწერება რიგი კოლმეურნეობების და ცალკეული კოლმეურნეების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში მოპოვებულ მაღალ მონაცემებზე, რაც ყველასათვის დიდი იმედია, მაგრამ გლეხის დაცარიელებული ჯიბე, საკოლმეურნეო ბაზრების და სასურსათო მაღაზიების ცარიელი დახლები, რისი მიზეზია? დადგა დრო უკუვაგდოთ დრომოჭმული ბიუროკრატიული მეთოდებით მართვის სისტემა, კაბინეტური მბრძანებლობა და ქვეყნის მარჩენალ ხალხს მივხედოთ. ყალბად შედგენილი ქაღალდების კორიანტელმა, მშრალმა დაპირებებმა, პაპკიანი ხალხის სიმრავლემ და უცნაურად გამოგონილმა ტყუილებმა, ჩვენი ეკონომიკა ნულს გაუტოლა. გარდაქმნის დაუნდობელი მტერია ის, ვინც საკუთარი კარიერის შენარჩუნებისათვის ტყუილს ასე გულუხვად არიგებს.

თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, ჩემი აზრით, აუცილებელია გარდაქმნა კარგად მივუსადაგოთ არსებულ მდგომარეობას და გლეხს მისი მარჩენალი მიწა უსასყიდლოდ და მემკვიდრეობის უფლებით სამუდამო სარგებლობაში მივცეთ, რითაც ის თავსაც ირჩენს და სახელმწიფოსაც გააძლიერებს.

ახლა უკვე ნათლად ჩანს, რომ მმართველობის სისტემის მესამე მოდელის პრაქტიკულად განხორციელებამდე ჩვენი ეკონომიკა წინ ვერ წაიწევს. რაც უფრო დაჩქარდება ეს პროცესი, მით უფრო პრაქტიკული იქნება საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მიღწევა.

შოთა ახვლედიანი,
ომისა და შრომის ვეტერანი.
სოფ. ნასპერი.

მიტინგი მთავრობის სახლთან

25 მარტს თბილისში, მთავრობის სახლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შექმნის წლისთავს. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა, პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა, ზვიად გამსახურდიამ, რესპუბლიკის ოპოზიციური მოძრაობების სხვა წარმომადგენლებმა შეაფასეს საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა.

(საქინფორმი).

მოსაზრება

შევხვდი ინსტიტუტის მეგობარს, დიდი ხანია არ მენახა და ორთავეს ძალიან გაგვიხარდა. საკმაო დრო დავყავით ერთად, ბევრი ვისაუბრეთ და გადავწყვიტე იმ ჩემი მეგობრის (ისიც უკვე 70 წლისაა) ნამბობი გაზეთ „ლეჩხუმის“ მკითხველებს გავაცნო. ვფიქრობ, ჩვენი ასაკის ადამიანები გამოეხმაურებიან ამ საკითხს.

როდესაც სტალინი გარდაიცვალა, მითხრა მან, მახსოვს როგორ ტიროდა დიდი და პატარა. ბევრს შავი ნაჭრები ეკეთა და სტალინის სურათს გულით ატარებდა. ხმა გავარდა, რომ მოკლესო, შეიძლება ასეც მოხდა, იმიტომ, რომ თუ რაიმე ცოდვა, დანაშაული ან შეცდომა მოხდა, ყველაფერს მას აბრალებდნენ. სტალინის სიკვდილი ხალხს ქვეყნის დაქცევად მიაჩნდა. ყველას ეგონა, რომ ქვეყანა უსტალინოდ ვერ იარსებებდა და ცხოვრება შეწყდებოდა. სტალინს ხომ გენიოსად ვთვლიდით, ყველაფრის მცოდნედ, მშვიდობის იმედად, სტალინი ყველა ხალხის შვილიც იყო და მამაც.

1956 წლიდან, როცა სტალინის კრიტიკა დაიწყეს, მე ეს ეროვნულ შეურაცხყოფად მივიღე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მკვდრის ლანძღვა დიდ შეცდომად მიმაჩნდა და მიმაჩნია. ამის შემდეგ გამოცხადდა ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით დემოკრატიული სახელმწიფო.

მიაჩნდათ, რომ თითქოს ხრუშჩოვიც, როგორც სტალინი, ყველაფრის მცოდნე, ყოველივეს შემძლე, გენიოსი და გრძენი იყო.

10 წლის მოღვაწეობის შემდეგ, როგორც იყო, ხრუშჩოვი ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს. მისი ადგილი ბრეჟნევმა დაიკავა. ახლა ბრეჟნევი გახდა გრძენი, გენიოსი, ხალხის შვილი და მამა.

დიდხანს აბელადეს ბრეჟნევი და როცა გარდაიცვალა, მასთან ერთად მოკვდა მისი სიბრძნეც და სიდიადეც. მთელი მისი ნამოღვაწარი უძრაობად მონათლეს.

„უნდა დავბოვო პარტია“

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლიდა, ისტორიის შემოქმედი არის არა რომელიმე პიროვნება, არამედ მთელი ხალხი, პიროვნება არაფერს არ წარმოადგენსო. საბჭოთა კავშირში გაკეთებული თუ რაიმე ნახეს, პარტიამ და ხალხმა გააკეთაო, თუ რამე ცუდი გაკეთებულა, ერთ პიროვნებას—სტალინს აბრალებენ. ყველაფერი მან გააფუჭა და აფუჭებს საქმეს ახლაც, გარდაცვალებიდან თითქმის 4 ათეული წლის შემდეგ

ახლა ინფორმაციის საშუალებებში ვკითხულობთ: ოციანი წლებიდან მოყოლებული კომუნისტურმა მოძრაობამ გაანადგურა არა მარტო ქვეყანაში არსებული კულტურის ძეგლები, ეკლესია-მონასტრები. ყველა განათლებული, პატრიოტი მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე თუ საზღვარგარეთ არ გააქციეს, ადგილზე მოკლეს. ვინც სიკვდილს გადაურჩა, დაამცირეს, აბუჩად აიგდეს, ტანჯეს არდოთ ხბო და გოჭი. სახალხო მეურნეობაში არ გვყავს საჭირო მომზადების და დონის არც ინჟინერი, არც ფიზიკოსი და არც იურისტი.

როგორც ახლა აღიარებენ, ყველაფერი ეს გამოწვეულია ერთპარტიულობით.

ხელისუფლების სათავეში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში მდგომარეობა აბობოქრდა. გამოცხადდა გარდაქმნა, საჯაროობა, დემოკრატია.

ყველაფერი თითქოს უნდა შეცვლილიყო, ვკამათობთ, ვლაპარაკობთ, გამოვდივართ სიტყვებით, ვამბობთ რაც გვინდა, ვბეჭდავთ ვისაც რა გაუხარდება, ვაგინებთ და ვლანძღავთ ვისაც გვინდა, ვაქებთ ვინც მოგვწონს, მაგრამ არის კი შედეგი?

ახლა ბევრი ცდილობს მომენტი გამოიყენოს. დემოკრატიისა და საჯაროობის ლოზუნგით მოქმედებენ. თვალი ახალი მოძრაობისაკენ უჭირავთ. ცდილობენ ახალ სკამზე არავინ დაასწროთ. ფაქტიურად კი მე ვხედავ, რომ ისინი მიეტმასნენ ეროვნულ მოძრაობას.

მე პატიოსანი მშრომელი კაცის შვილი ვარ. მაქვს სათანადო განათლება, რასაც მასწავლიდნენ, მთელ პროგრამას ვსწავლობდი, მაგრამ ვერ ვისწავლე მლიქნელობა და მაამებლობა. კეთილსინდისიერად ვასრულებდი ყოველგვარ მოვალეობას. ახლა საზოგადოების მეტ ნაწილს დაკარგული აქვს რწმენა სიწმინდისა და პატიოსნების მიმართ.

ყოველივე ამის გამო, ჩემს თავს ვთვლი კომუნისტურ პარტიაში ზედმეტად და ვტოვებ მას. ამ სიტყვებმა გამაკვირვა და შევეკითხე: რომელ პარტიაში შესვლას აპირებ მეთქი.

—რწმენა ისე მაქვს შერყეული, მითხრა, რომ არავისი აღარ მჯერა და არც ერთ პარტიაში არ შევალ და არც ერთ რელიგიურ რწმენას არ მივიღებ, რადგან ყოველ პარტიას და რწმენას ვთვლი ადამიანის ნების და უფლების დამორჩილების იარაღად.

შენ რას ფიქრობ.

—ახლა მე შემეკითხა.

—მე ძველი კომუნისტი ვარ და მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ამ პარტიაში ვიქნები. მე მწამს, რომ კომუნისტური პარტია თავის ავტორიტეტს აღიდგენს.

ყველა უნდა ცხოვრობდეს ერთნაირად, არ უნდა იყოს მდიდარი და ღარიბი. არ უნდა იყოს ექსპლოატატორი და ექსპლოატირებული. ყველამ მიიღოს მისი შრომის მიხედვით.

გერონტი თუთისანი,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

სოფ. ბარდნალა.

ᲘᲛ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡᲐᲒᲝᲜᲐᲠᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲝ

უკანონობას მენირული სიცოცხლე

ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა 1937 წლის განუკითხაობისა და განუსჯელობის პერიოდს. ერთ-ერთი მათგანია შალვა ტარასის ძე ასლანიკაშვილი, იგი თავმდაბალი და ალალმართალი კაცი იყო, არასოდეს არ ცდილა მაღალი კარიერის მიღწევას, ბევრი ფულისა და ქონების შეძენას. მუშაობდა კეთილსინდისიერად, თანამოსაქმეთა და ყველა პატიოსანი ადამიანის სიყვარულს იმსახურებდა. ასე იყო მისი წინაპარიც, გამრჯე და მშრომელი ოჯახიდან გამოსული, თვითონაც მშრომელი და უანგარო, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული გახლდათ.

მოკრძალებული ბიოგრაფია ჰქონდა შალვას, იგი დაიბადა სოფელ შუა აღვში 1902 წელს. მისი მამა—ტარასი ოყურეშიდან ჩახოძებული იყო შუა აღვში გიორგი თაგვაძის ოჯახში. ტარასი სასულიერო პირი იყო, მღვდლად მუშაობდა აღვის მთავარანგელოზის ეკლესიაში. შალვამ დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სოციალურ-ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელიც 1923 წელს დაამთავრა. უსახსრობის გამო სწავლა ვერ გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში და მუშაობა დაიწყო დურჩის არასრულ საშუალო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დირექტორად. მასთან ერთად მუშაობდნენ: გ. ახვლედიანი, მ. ჩიქოვანი ი. ლაპარტყავა, მ. ასათიანი და სხვები, რომელთა უმრავლესობა შემდეგში სახელმოხვეჭილი მეცნიერი გახდა.

1925 წელს შ. ასლანიკაშვილი გადაიყვანეს სოფელ ჭრებალოში არასრული საშუალო სკოლის დირექტორად. აქ გაიცნო და ცოლად შეირთო რაჭველი გოგონა ანიჩკა იმნაძე, რომელიც საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობდა და ახალი დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის ქალთა გიმნაზია.

შ. ასლანიკაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის საოფთიაქო სამმართველოში უფროს ბუხჰალტრად, მუშაობდა აგრეთვე ცაგერის რაიფთიაქისა და რაიაბრეშუმის ბუხჰალტრად.

ჩვენ ამ დღეებში შევხვდით ქალბატონ ანიჩკას და ვთხოვეთ მოეთხრო ზოგიერთი ეპიზოდი იმ ავადმოსაგონარ 1937 წლის პერიოდზე, რომელმაც მის ქმართან ერთად მრავალ ლეჩხუმელს დიდი ფიზიკური და სულიერი ტრამვა მიაყენა, ბევრი მათგანი უდანაშაულოდ ემსხვერპლა.

—1937 წლის ოქტომბრის ერთ-ერთ ღამეს,—იგონებს ქალბატონი ანიჩკა,—დაახლოებით სამ-ოთხ საათზე, შუა აღვში, ცაგერის მილიციიდან მოვიდა სამი შეიარაღებული მუშაკი და ჩვენი ოჯახი გაჩხრიკეს, ხოლო ჩემი ქმარი შალვა კი დააპატიმრეს. თითქმის წელიწადი შესრულდა და ასავალ-დასავალი ვერ გავიგეთ მისი, შემდეგ, 1938 წლის ბოლოს, შალვას წერილი მივიღეთ შორეული აღმოსავლეთიდან, საიდანაც იწერებოდა, რომ 7 წელი მაქვს მისჯილი და ფიზიკურად ვმუშაობო. ჩვენთან 30 ქართველია, უმეტესობა პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორია. 40 გრადუს ყინვაში გვამუშავებენ რკინიგზის ხაზის გაყვანაზე. 1942 წლიდან კი შეწყდა წერილების მოწერა. ხად არ მივწერეთ, რომ გაგვეგო მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ 1963 წელს მივიღეთ ცნობა ხაბაროვსკის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოსაგან, რომ შ. ტ. ასლანიკაშვილი 1942 წლის 24 თებერვალს გარდაიცვალაო.

ძალიან გვიან გავიგეთ,—თქვა ქალბატონმა ანიჩკამ,—რომ სოფლის რომელიღაც არაკაცს დაუბეზღებია შ. ასლანიკაშვილი, „სანდო არ არის“, „ხალხის მტერიაო“ და ამისათვის მიუსჯიათ 7 წლის ციხე და შორეულში გადასახლება. მუდამ იმის ფიქრში ვიყავით: ბოლოს და ბოლოს ნუთუ სიმართლე არ უნდა გაირკვეს. მართალი კაცი ასე როგორ უნდა დაიჩაგროს! და აი, გაირკვა კიდეც: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დაგენილებით განაჩენი შალვა ტარასის ძე ასლანიკაშვილის მიმართ გაუქმდა, საქმე წარმოებით მოისპო და იგი რეაბილიტირებულია.

ამასთან ერთად, არ შეიძლება არ მოვუთხროთ გაზეთ „ლეჩხუმის“ მკითხველებს ბატონ შალვას ოჯახის შესახებ. ბედის ანაბარა დარჩა შალვას მეუღლე და მისი ორი მცირეწლოვანი შვილი, საფლე ასლანიკაშვილი—11 წლისა, ხოლო კარლო-10 წლის. ახალგაზრდა დედას მძიმე ტვირთი დააწვა. მასწავლებლის მცირე ხელფასით უჭირდა ბავშვების რჩენა და აღზრდა. ამიტომაც, რომ იტყვიან, დღე და ღამე გაერთიანებული ჰქონდა, საკარმიდამოში და საზოგადოებრივ ნაკვეთებში მამაკაცის სწორ სამუშაოსაც კი ასრულებდა, შვილებს არ აგრძნობინებდა უმამობას. ამის შედეგია ის ფაქტი, რომ მისი შვილები კარგ მოქალაქეებად გაიზარდნენ, ორთავენი დააოჯახა. მართალია უფროსი შვილი—საფლე რამდენიმე წლის წინ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოსტაცა, მაგრამ მაინც არ გაიტეხა გული, ვაჟის შვილებით ხარობს.

ქალბატონ ანიჩკას 5 შვილიშვილი ჰყავს, აქედან 3 უმაღლეს დამთავრებულია, ხოლო დანარჩენი—სტუდენტები.

დღეს ანიჩკა იმნაძე-ასლანიკაშვილი 88 წლისაა, დამსახურებულ პენსიაზეა და ამაყობს, რომ კარგ შთამომავლობას უზრდის სამშობლოს, ქართველ ერს.

ვლ. ხეცურიანი,
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

ᲞᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ

ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲘᲛᲢᲔᲕᲔᲑᲔᲚᲜᲘ

ცემას შთამომავლობისათვის არავინ აცლიდა. ამიტომაც გადაირჩინა თავი ამ მცირე ერმა თავისივე მცირე, მაგრამ მარგალიტისდარ მიწაზე, რომლის სიღრმეში წვდომა და მოკალათება მაშინაც აშფოთებდათ და არც ახლა ასვენებს მტარვალთ.

დღეს ძნელბედობის ხანა უდგას მამულს ქართველისას. ამიტომაც იყო ძალზე სასიხარულო ის აქცია, რომელიც ახლახან გაიმართა თბილისში, უნივერსიტეტის ეზოში. ერის ქომაგთა გულიდან მონადენი სიტყვები მხურვალე იყო და ხალხთა აღმგზნები—ფიცის ქვეშ წარმოთქმული მიმართვა ძმათა დანდობის, გატანის გრძნობით აღანთებდა მსმენელთ.

მონანიების და მიმტევებლობის უნარი დიდი ნიჭია ადამიანის. ბრძენკაცი ამბობდა, პატიება გამარჯვებაა უზენაესია. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სამაგიეროს გადახდა უფრო ადვილი გახდა, ვიდრე პატიება. რატომ უნდა იყოს ასე და არა პირიქით? ადამიანებში მოხდა გაუცხოება, ჩაისახა დაუნდობლობა, რაღაც ავკაცური გრძნობა, რაც მკაცრადაა დასაგმობი. მხოლოდ ერთიანობა, კონსოლიდაცია, ურთიერთგაგება და სიყვარული გადაარჩენს ჩვენს დიდ საქმეს, მის მომავალს და არა ჯიბრი—ვინ მეტს იტყვის და იტყვის ხმამაღლა საკუთარი პრესტიჟის დამკვიდრების ან ამაღლებისათვის.

საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება, დანაშაულის ჩადენამდე ადამიანის გადარჩენა საქველმოქმედო საქმეა.

შემთხვევით ჩადენილ შეცდომას და გამიზნულს შორის დიდი ზღვარია და ყველა თავისი კუთხით უნდა დავინახოთ.

როცა ამ საკითხზე ვსაუბრობ, ყველაზე მეტს ჩემი პროფესიის ადამიანებისგან მოვითხოვ. რადგან ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა დღეს ცხოვრების ყველაზე აქტიური ძალაა, რომელთა გვერდით უგვანონი და უსაქმონიც მოკალათებულან. ამიტომ უნდა მათ ერთგული თავკაცები, ჭკვიანი მრჩეველნი მუდამ გვერდით. ვიყოთ ასეთნი, თუ ვერ შევძლებთ, ვეცადოთ მაინც.

ნ. ფრუიძე,
ალპანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

საქართველო გმირების აკვანია. ვაჟკაცობა და რაინდობა გულებს ფიცარივად ეწერა ამ სახელოვან მამულიშვილებს და მამა-პაპათა ბოლოდროინდ ასეთ ვად სატევარაღმართული წინაპართა აჩრდილები უძღოდათ წინ. რაინდობა ხომ უმეტესწილად ერთგულებასა და ურთიერთგაგებაში იყო ჩაქსოვილი, რაც ქართველს აროდეს აკლდა. მე იმ ქართველზე მოგახსენებთ, ვინც ქრისტეს ნათელით იყო მირონცხებული და გზახსნილი ზესკნელისაკენ, თორემ მოღალატე იმ დროსაც არ იშლიდა თავისას, თუმცა წესის ამგებელი უამრავი ჩნდებოდა და მაგალითის გადა-

რამდენი რამ გტკივა, ლეჩხუმო

ეკოლოგიური, სოციალური, სანიტარული პრობლემები გადაწყვეტას მოითხოვენ

მარტის პირველ დეკადაში სანეპიდსადგურის ძალებით ჩატარდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების ეზოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება, რაც საფუძველს გვაძლევს განვმარტოთ, რომ თითქმის არცერთ ობიექტში არ ჩაუტარებიათ ეზოების საგაზაფხულო გენერალური დასუფთავება. განსაკუთრებით ანტისანიტარული მდგომარეობა აღინიშნება სტალინის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი ბინების, 40 ბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში, ამავე ეზოში არსებულ სანიტარულ კვანძებში. იმედია ბინათმმართველობის შესაბამისი განყოფილება ზომებს მიიღებს წესრიგის დასამყარებლად.

როგორც ყოველთვის, მოსახლეობის მიერ თვითნებური ნაგავსაყრელების ადგილადაა ქცეული ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროს, ქალაქის გასწვრივი ზოლი. მის სალიკვიდაციოდ ეჭვსგარეშეა იზრუნებს კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელობა.

რიყის ტერიტორიის დანაგვიანების ერთ-ერთ კერას ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის კაშხალის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს, სადაც ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ხის სახელოსნო საამქროებიდან საწარმოო პროცესში დაგროვილი ნაგვისა და სხვადასხვა მეტალური თუ საწარმოო ნაწარმის ანარჩენების გატანა-დანაგვიანებით არის გამოწვეული, ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნება საგზაო სარემონტო-საექსპლოატაციო საწარმოს მიმდებარე რიყის ტერიტორიაზე. შევახსენებთ აღნიშნული საწარმოების ხელმძღვანელებს, რომ ყველა სახის ნაგავისა და ანარჩენების უტილიზაციის მიზნით არსებობს ქალაქის ნაგავსაყრელი, რომელიც მდებარეობს ლასურიაშის ხიდთან ახლოს, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

გენერალურ დასუფთავებას და სანიტარულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს მანქანა-ტრაქტორთა სარემონტოს, სასურსათო კომბინატის, რაიკოოპერატივის საქმიანი ეზოები, კავშირგაბმულობის, განათლება-სოცუზრუნველყოფის, კომკავშირის რაიკომის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, საავადმყოფოს, მუსიკალური და სამხატვრო სკოლის, ქალაქის აბანოს, ავტოტექმომსახურების, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, კოლმშენის, ბაზრის და სხვა ეზოები, ვფიქრობთ, ჩამოთვლილი წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები ჩაატარებენ სანიტარულ დასუფთავებას, ამასთან შეგახსენებთ, რომ საქმიანი ეზოების სანიტარულ წესრიგში მოყვანის დროს ნუ დაგავიწყდებათ, რომ შეფობის სახით მოვლა-პატრონობას უწევთ თქვენს დაწესებულებაზე მოსაზღვრე ქუჩის ტერიტორიას.

ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის უმთავრესი სიკეთე ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგების მდგომარეობის საკითხია.

განმარტებას იქედან დავიწყებთ, რომ ქალაქის წყალმომარაგების ქსელის არადამაკმაყოფილებელი სანტექნიკური პირობების უკიდურესად გაუვარგისების გამო ხშირია ავარიული შემთხვევები, ხოლო უკანასკნელ პერიოდში ხელოვნური შეფერხებებია წყალსადენის სათავეში ელექტროენერგიის მიწოდებაში, რაც განაპირობებს წყალსაქაჩი დანადგარების მუშაობის შეფერხებას, იწვევს წყალსადენის ქსელში წყლის მიწოდებაში წნევის დაცემას და ხანგრძლივ პაუზებს, რითაც იზრდება შესაძლებლობა ნაწლავინფექციების გამომწვევი მიკრობებით წყალსადენის ქსელის დაბინძურებისა, ამის გამო ეპიდემიოლოგიური სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია, ხატოვნად რომ ვთქვათ, „დამოკლეს მახვილი შემართულია". ამ საკითხის მოსაწესრიგებლად საქმის მხოლოდ კომუნალური მეურნეობისათვის მინდობა შეცდომა იქნება, საჭიროა ამოქმედდეს რაიონის მოწოდებული სამსახურებრივი ერთიანი კომპლექსი. უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე წყალსადენის ქსელის რამდენიმე სერიოზული ავარია დაფიქსირდა ქალაქის ტერიტორიაზე, ამავე პერიოდში ცაგერის №1-ბაღში ადგილი ჰქონდა ბავშვთა შორის ინფექციური ჰეპატიტით დაავადების შემთხვევებს, უდავოა იგი კონტაქტური ხასიათისა იყო, რადგან უხეშად ირღვეოდა სანიტარულ ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმი, რაც გამოწვეული იყო ობიექტში სანტექნიკური პირობების უკიდურესად გაუვარგისებით. ამ შემთხვევიდან სულ მალე სტალინის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, მათ შორის №1-ბაღში, 16-ბინიან, 40-ბინიან საცხოვრებელ სახლებში, რესტორანში და სხვა ადგილებიდან აღებული წყლის ნიმუშების ანალიზებიდან ბაქტერიული დაბინძურების მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა, რაც მეტყველებს, წყალსადენის ქსელის ავარიულობაზე. ამავე დღე მოსალოდნელია სანიტარული ინფექციების ჯგუფური შემთხვევების გამოვლინება.

ცხადია, ზემოთაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ერთდროულად არ მოხდება, მის განხორციელებას წინ მრავალი ობიექტური მიზეზი ეღობება, მაგრამ მთავარია ვირწმუნოთ, რომ აუცილებელია მისი მოწესრიგება, შეუსრულებელი და გადაუწყვეტელი არაფერია, მით უფრო, რომ ერთ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სწორი ორგანიზაცია. ჩამოთვლილიდან თუნდაც ერთი პრობლემის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის მცხოვრებთა სოციალურ გარემოს, ეკოლოგიურ და სანიტარულ ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

კვლავ მინდა შევახსენო ქალაქის ყველა მცხოვრებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს სამსახურებრივი თუ პატრიოტული ვალი. ქალაქის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტისათვის აქტიური პოზიცია დაიკავონ, რამეთუ იგი თითოეული ჩვენგანის სასიცოცხლო სივრცის ნორმალური ეკოლოგიური პირობების შენარჩუნებასთანაა შეუღლებული.

ჯ. ყვირილიანი,
ცაგერის რაი-სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი" №36).

ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ბრძოლის დრო ახლაა

უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს თესლოვან და კურკოვან ხეხილის ბაღში მასობრივი გავრცელებით აღინიშნა ხეხილის მურა, უდემანსის კუნელის და აბლაბუდიანი ტკიპები.

ტკიპები იკვებებიან ხეხილის (ვაშლი, მსხალი, ქლიავი და სხვა) კვირტების, ფოთლების, ნორჩი ყლორტების უჯრედებით და ქლოროფილის მარცვლებით. მისგან დაზიანებულ ფოთლებში მცირდება პიგმენტები, ირღვევა სუნთქვის პროცესები და საბოლოოდ მცირდება მოსავალი, ხოლო ნაყოფებში ქვეითდება ვიტამინი „ც" და შაქრიანობა.

ტკიპები მავნეობას იწყებენ ადრე გაზაფხულზე (მარტი-აპრილი). მეზამთრეობიდან გამოსული ტკიპები ფოთლებზე გადასვლის და დაბინავების შემდეგ იწყებენ კვერცხების დებას. კვერცხებს დებენ ფოთლის ქვედა მხარეზე, ძარღვების გასწვრივ გაბნეულად. კვერცხების მთლიანი პროდუქცია საშუალოდ 86 ცალს უდრის, მერყეობს 14-121 ცალამდე, ივითარებს 5-9 თაობას. ტკიპების განვითარების ოპტიმალური პირობაა ჰაერის ტემპერატურა 28-30 გრადუსი, შეფარდებითი ტენი 50-60 პროცენტი. ვეგეტაციის განმავლობაში ტკიპას რიცხობრიობა ყოველ წელს თანმიმდევრულად არ იზრდება, ცხელი ზაფხულის ბოლოს შეიძლება შემცირდეს. ამრიგად ვეგეტაციის განმავლობაში ტკიპების რიცხობრიობა მჭიდრო კავშირშია ჰაერის ტემპერატურასა და შეფარდებით ტენთან.

ტკიპების წინააღმდეგ ყველაზე კარგ შედეგს იძლევა ბრძოლის ქიმიური მეთოდი ადრე გაზაფხულზე, როცა ტკიპები მეზამთრეობიდან გამოდიან. კარგ შედეგს იძლევა კელტანის, ბი-58-ის, მილბექსის, ფოზალონის, ომაიტის 0,2 პროცენტიანი ემულსია. სამუშაო ნაზავის დასამზადებლად 99,8 ლიტრ წყალზე აიღება 200 მილილიტრი რომელიმე ზემოთაღნიშნული პრეპარატი (კელტანი, ბი-58, მილბექსი, ფოზალონი). წამლობა შეიძლება განმეორდეს ხეხილის დაყვავილების შემდეგ. აღნიშნული შხამქიმიკატების შერევა ბორდოს სითხეში დაუშვებელია, რადგან ისინი ტუტე ჰაერში მოხვედრისას განიცდიან ჰიდროლიზს, კარგავენ ტოქსიკურობას, შეიძლება შეურიოთ ცინებთან, ხომეცინთან და სველებად გოგირდთან. პრეპარატების კომბინირებული წესით გამოყენებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ერთდროულად ვებრძოლოთ როგორც ტკიპებს, ისე ხეხილის ქეცსა და ნაცარს.

ნანული შალამბერიძე,
საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

კონსულტაცია

როგორ გავცვალოთ ბინა?

ბევრი გვეკითხება რა წესით ხდება საცხოვრებელი ბინების გაცვლა. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესების შესახებ".

ეს წესები განსაზღვრავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში, აგრეთვე პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაცვლის კანონს.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა, მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა წერილობითი თანხმობით გაუცვალოს დაკავებული საცხოვრებელი სხვა დამქირავებელს ან საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრს, მათ შორის სხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთაც.

დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს დამქირავებლის და ოჯახის დანარჩენ წევრთა წერილობითი თანხმობით გაუცვალოს მისი წილი საცხოვრებელი ფართობი სხვა პირს იმ პირობით, თუ გაცვლის წესით ამ სადგომში იგი ჩასახლდება როგორც დამქირავებლის ოჯახის წევრი (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესავი, და-ძმა).

საცხოვრებელი სადგომების გაცვლას (მიუხედავად მათი კუთვნილებისა) აფორმებს საცხოვრებელი სადგომების ბიურო, ხოლო მისი არ არსებობისას სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი მას შემდეგ, რაც განცხადებას გაცვლის შესახებ წინასწარ განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, სასოფლო საბჭოს აღმასკომთან არსებული საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისია.

გაცვლის ნებართვის მისაღებად საცხოვრებლად სადგომის გაცვლაში მონაწილე მოქალაქეებს შეაქვთ ამის შესახებ განცხადება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები: ნებართვა გაცვლაზე; საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება; საცხოვრებელი სადგომის ორდერი. გეგმა ბინისა, რომელშიც მდებარეობს გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი, დამოწმებული საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციის, ხოლო მისი არარსებობისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ; საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ცნობა გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომის მდგომარეობისა და ოჯახის შემადგენლობის შესახებ დროებით სხვაგან მყოფთა გათვალისწინებით.

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილი და ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში მდებარე სახლებში საცხოვრებელი სადგომების დამქირავებელთა შორის გაცვლა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში არ ფორმდება და საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ორდერი ამ შემთხვევაში არ გაიცემა, ხოლო სხვა ქალაქში გაცვლისას საჭიროა სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თანხმობა.

რესპუბლიკის ფარგლებში გაცვლისას, თუ ერთ-ერთი გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი ქ. თბილისში მდებარეობს, გაცვლას აფორმებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

თუ საცხოვრებელი სადგომები ერთი რაიონის ფარგლებში მდებარეობს, გაცვლა ფორმდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

რესპუბლიკის ერთი ქალაქის ფარგლებში გაცვლისას გაცვლა ფორმდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ან საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ბიუროს (თუ იგი არსებობს) შესაბამისი გადაწყვეტილებით.

თუ ერთ-ერთი გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი საკურორტო ადგილებზე მდებარეობს, გაცვლა ფორმდება საკურორტო ადგილის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, გარდა ქ. თბილისში გაცვლისა.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

მადლობა სოხუმელებს თანადგომისათვის

მეწყურვლმა მოვლენებმა შეაწუხა ლეჩხუმელი მშრომელები. ბევრი ოჯახი აიყარა მამა-პაპური ფუძიდან, ბევრმა მონაცვლა სამოსახლო, ბევრიც სხვა რაიონში გადავიდა და დამკვიდრდა.

დღეს, როგორც არასდროს, ისეა საჭირო გავიზიაროთ ერთმანეთის ჭირი და ლხინი. მხარში ამოვუდგეთ რითაც შეგვიძლია— ზოგჯერ ერთი სანუგეშო სიტყვაც კი შემოაბრუნებს გულშეჭირვებულ ადამიანს, პატარა ყურადღებაც კი გადაატანინებს დიდ ჯავრს.

ბევრმა გამოგვიწოდა დახმარების ხელი. ამ დღეებში სოხუმის ქიმიური ქარხნისაგან (დირექტორი ჯემალ გოგია) რაიონის მშრომელებმა საჩუქარი მიიღეს. დამეწყრილი ოჯახებისათვის სოხუმელებმა გამოგვიგზავნეს 132 ცალი ზეთოვანი საღებავი, ცელოფანი, ცელოფანის პარკები, შამპუნი და 1200 მანეთი ფულადი დახმარება.

მადლობა სოხუმელ მშრომელებს თანადგომისა და ყურადღებისათვის.

სიახლე დაზღვევის წესებში

საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებში, ბაგა-ბაღებში და ცალკეულ ოჯახებში ამჟამად იმყოფებიან ისეთი ბავშვები, რომლებიც დარჩენილი არიან მშობელთა მეურვეობის გარეშე, ბავშვები, რომელთა მშობლებს ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები ან ისინი დადგენილი წესით მიჩნეული არიან შრომის უუნაროდ ან უმისამართოდ წასულად.

ეს ბავშვები, მიაღწევენ რა გარკვეულ ასაკს, იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას. ზოგი მათგანი განაგრძობს სწავლას, ზოგი იწყებს მუშაობას, ორივე შემთხვევაში მათ ესაჭიროებათ დახმარება. ასეთი დახმარება შეიძლება აღმოუჩინონ საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა, ცალკეულმა მოქალაქეებმა.

ამ მიზნით საკავშირო ფინანსთა სამინისტროსა და ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა საბავშვო ფონდის მიერ შემოღებულია დაზღვევის ახალი სახეობა. ლენინის სახელობის საბჭოთა საბავშვო ფონდის ადგილობრივმა განყოფილებამ უნდა - გაგზავნოს სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციაში შრომითი კოლექტივების ის წარმომადგენლები, ან ცალკეული მოქალაქეები, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი გამოიჩინონ მზრუნველობა ამა თუ იმ აღსაზრდელის მომავალზე, თავის მხრივ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექცია ასეთ დამაზღვევლებთან გააფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებებს, მიიღებს ერთდროულ სადაზღვევო შესატანს და გამოწერს დაზღვევის მოწმობას არსებული წესების დაცვით. დაზღვეული აღნიშნულ თანხას იღებს 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე.

კარგი იქნება თუ ჩვენი რაიონის საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერატივები, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციები, ინდივიდები გამოეხმაურებიან ამ სიახლეს, გამოიჩენენ მზრუნველობას მშობელთა მეურვეობის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე და გააფორმებენ სახდაზღვევის ინსპექციებთან ხელშეკრულებას და მათს სახელზე შეიტანენ სადაზღვევო თანხას.

ჯ. ჩიკვაიძე,
სახდაზღვევის ცაგერის ინსპექციის უფროსი.

როგორ გავცვალოთ ბინა?

(დასასრული).

საცხოვრებელი სახლების გაცვლა დაიშვება:

ა) საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახლებში—საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

ბ) საზოგადოებრივი ფონდის სახლებში—შესაბამისი ორგანიზაციის, ორგანოსა და მისი პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

გ) კოლმეურნეობის კუთვნილ სახლებში—კოლმეურნეობის გამგეობისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

დ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში—სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვით, თუ არსებობს საერთო კრების ნებართვა საცხოვრებელი სადგომის გამცვლელი პირის კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ.

ე) პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში—სახლის მესაკუთრის წერილობითი თანხმობით.

საცხოვრებელი სადგომის გაცვლა არ დაიშვება:

ა) თუ დამქირავებლის მიმართ აღძრულია სარჩელი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ან შეცვლის, ანდა ორდერის ბათილად ცნობის შესახებ.

ბ) თუ გაცვლა ანგარებითი ან ფიქციური ხასიათისაა.

გ) თუ გაცვლასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მხარის საბინაო პირობები არსებითად გაუარესდება, რის შედეგადაც იგი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი გახდება.

დ) თუ სახლს (საცხოვრებელ სადგომს) ემუქრება ჩამოქცევის საფრთხე, ანდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით სახლი მიჩნეულია ავარიულად. ასაღებია ან გადასაკეთებელი.

გაცვლა ფიქციად ითვლება, თუ გაცვლის სახით ერთ-ერთი მხარე თმობს საცხოვრებელ სადგომს ისე, რომ რეალურად არ სარგებლობს გაცვლის შედეგად მიღებულ სადგომით.

კ. სიღაგაძე,
ცაგერის საბინაო კომუნალური მეურნეობის საწარმოო კომბინატის სახლმმართველი.

ვილოცავთ

ახლადდაქორწინებულებს!

მზია მურმანის ასულ ნემსწვერიძეს
დავით ამირანის ძე ჩახუღიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებასა და დღეგრძელ სიცოცხლეს.

ლია მუშკუდიანი, იზა ჯანელიძე, ეენია რეხვიაშვილი, მარინე ელიავა, ნათელა მიქაძე, ნატო ქარსელაძე.

ირმა გივის ასულ გაბიანს
დ'ათო ვაჟას ძე ჭლიბაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, ხალისი, სიტკბო არ მოგეშალოთ. აკვნების სიმრავლე დაგბედებოდეთ.

ნინო, ოთარ გიგანები, ლია ნემსწვერიძე.

ნონა იურის ასულ ჩაკვეტაძეს
გოგი გურამის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ სიხარულს, მზეგრძელობას, სიყვარულს.

ნანა ცვარიანი, ირმა ფოჩხიძე, თინიკო საღინაძე, ქეთინო ხეცურიანი.

ნონა იურის ასულ ჩაკვეტაძეს
გოგი გურამის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ სიხარულს, მტკიცე, ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას.

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ დარეჯან გასვიანს და მურთაზ ლარცულიანს დედამთილის და დედის

თინა ლარცულიანის

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ კოპალიანი, ტარზან, დემურ მეშველიანები, რამინ ყურაშვილი, ზურაბ ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მიშა, ჟუჟუნა ჩარკვიანებს დისა და მულის

თინა გიორგის ასული ჩარკვიანი-ლარცულიანის

გარდაცვალების გამო.

უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნინა ჯაფარიძეს

ვიტალი ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ ხვისტანი, რაფიელ, რუბენ კოპალიანები, შურა ბერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ტატიანა ყურაშვილს სიძის

გივი ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი

თინა გიორგის ასული ჩარკვიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები რუბენ, გრიშა, გუჯუ, გოგი, ჟუჟუნა, ბელა, რძლები შუშანა, სულიკო, ლილი, ლია, ფატი, ნანი, ნინო, სიძეები ნოდარ ნიკოლაძე, როლანდ სილაგაძე, ლევან ბურჯალიანი, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფედოსი სანდროს ასული მურცხვალაძე-მეშველიანი.

დაკრძალვა 1 აპრილს, კვირას, სოფ. ჩხუტელში.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გია ჩარკვიანს და იური ლარცულიანს მამიდისა და დედის

თინა ჩარკვიანი-ლარცულიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ბელა, როლანდი სილაგაძეებს დედისა და სიდედრის

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნაზიკო და გიზო ახვლედიანებს ბიძის

შამილ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

დომენტი, გენური, დანიელ, შერაგი ჯიაძეები, როინ ლიპარტელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ბორის, ციცო ჯიაძეებს დისა და მულის

ლუიზა ჯიაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

შვილები ჭიჭიკო, გურამი, რძლები ლერი, მარგალიტა, შვილიშვილები მარინე, მაყვალა, მანანა, მალედი, მალვინა, სიძეები ხვიჩა ფანჯავიძე, სოზარ ჩორგოლიანი, მურმან სილაგაძე, დისშვილები ზაურ გელოვანი, ძმისშვილები, მაზლისშვილები, შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარო სტეფანეს ასული მეგრელი-ჩაჩხიანი.

დაკრძალვა 31 მარტს, შაბათს, სოფელ ლაჯანაში.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის კოლექტივები თანაუგრძნობენ იზა და მერაბ დავითულიანებს ბიცოლის

თინა ლარცულიანის

გარდაცვალების გამო.

დისშვილები ელდარ, ჯემალ საღინაძეები, რძალი მერი ჯიმშელეიშვილი, დისშვილიშვილები დავითი, ქეთო, ბიძები ბიქტორ ხმელიძე, ჭოჭია ახვლედიანი, დეიდები ნინა, ლუბა, ბიცოლა შურა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ კონსტანტინეს ასული ახვლედიანი.

დაკრძალვა 1 აპრილს, კვირას, ქ. ცაგერში. გამოსვენება 18 საათზე, ლენინის ქ. №10.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.